

საზღვრების გარეშე თუ შეშლილი მსოფლიო



პარკური „ბრძოლის“ ახალი მეთოდი. ადამიანები მისი საშუალებით ძლევენ დაბრკოლებებს. შესეულის ფლობის უნარს პლუს მოხერხებულობა, აი ესაა პარკური.

„ბრძოლის ხელოვნება“ ასე უწოდებენ მას ახალგაზრდა ტრეისერები ანუ პარკურის მიმდევრები. მათთვის დაბრკოლებას აღარ წარმოადგენს ღობეები, კედლები, მაღალსართულიანი ბინები. პარკურის ცნობილი წარმომადგენელი დევიდ ბეილია.

პარკურის ისტორია დიდი ხნის წინ დაიწყო. სანამ პირველი მსოფლიო ომი დაიწყებოდა საფრანგეთის საზღვაო ფლოტის ოფიცერი ჯორჯ ჰებერტი მსოფლიოში მოგზაურობდა. აფრიკაში ჩასული გააკვირვა იმ ფიზიკურმა მოქნილობამ და ოსტატობამ, რომელსაც მკვიდრი ტომები ფლობდნენ. ჰებერტი თავის დღიურში წერს „მათ ბრწყინვალე, მოქნილი, მსუბუქი, სწრაფი, გამძლე, წინააღმდეგობების დამძლევი სხეული აქვთ. ამ ყველაფერს ბუნებაში ცხოვრებით მიაღწიეს. მათ გიმნასტიკის მასწავლებელი არ ჰყავთ.“

მისი დევიზი გახდა იყავი ძლიერი, რათა დაეხმარო სხვას. როცა თავის ქვეყანაში დაბრუნდა, საფრანგეთის ერთ-ერთ კოლეჯში ფიზიკულტურის მასწავლებლად დაიწყო მუშაობა. მან დაიწყო გარკვეული პრინციპების, სატანვარჯიშო იარაღებისა და ვარჯიშების შექმნა. ამ ხერხს კი „ბუნებრივი მეთოდებით ბრძოლა“ დაარქვა. ბუნებრივი მეთოდები მოიცავდა: ძუნძულს, სირბილს, ხტომას, ცოცვა, ბალანსის შენარჩუნებას, თავდაცვას, ცურვას...

პირველი და მეორე მსოფლიო ომის განმავლობასი ჰებერტი აგრძელებდა ამის სწავლებას. მისი მიზანი იყო ეს ვარჯიშები გამხდარიყო საფრანგეთის ჯარის წვრთნის სტანდარტი. პარკური, როგორც მას ეწოდა კიდევ უფრო განავითარა შევიცარელმა არქიტექტორმა. ფრანგმა ჯარისკაცებმა კი აიტაცეს პარკური, წინააღმდეგობების გადალახვის ბუნებრივი გზა.

დღეს პარკური სპორტის ერთ-ერთი სახეობაა. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მას ბევრი მიმდევარი ჰყავს. საქართველოშიც რამდენიმე ჯგუფი უკვე ჩამოყალიბდა. Georgian FreeFow, The Ghost და GT Crew ყველაზე აქტიური მიმდევრები არიან. 16 წლის ლაშა ამბობს, რომ „მაღალ ბინებს დავეძებთ, რომ ავძვრეთ და ვივარჯჯოთ. ხშირად გეპეის პირველ კორპუსთან ვიკრიბებით. წინათ ჩემს კორპუსზე ვვარჯიშობდით, მაგრამ მეზობლებმა პროტესტი გამოთქვეს, რამე

დაგემართებათ და ჩვენ ამის ყურება არ გვიდაო. მშობლებიც წინააღმდეგნი არიან, მაგრამ ერთხელ თუ გემო გაუსინჯე პარკურს, მას ვეღარ დაანებებ თავს.”



ლაშას ჯგუფში, რომელთაც ჯერ სახელი არ შეურჩევიათ სულ 7 არიან. ყველა თავდაიზოგავად ვარჯიშობს, რომ რაც შეიძლება ძნელი „ტრიუკი“ გააკეთოს. გიორგი 17 ამბობს, რომ: „უკვე 3 წელია პარკურით დაკავებული ვარ. სურვილი, რომ მას დაგუფლებოდი, მას სემდეგ გამიჩნდა, რაც კინოს მე-13 რაიონს ვუყურე. იმ წუთასვე მივხვდი, რომ ეს იყო რაც მინდოდა და სწორედ მაშინ გადავწყვიტე მეორე დღიდანვე შევდგომოდი ვარჯიშს. თავდაპირველად სახელში ვვარჯიშობდი. სკამებს, მაგიდებს ვახტებოდი. მშობლების რეაქცია, რა თქმა უნდა, საშინელი იყო, მაგრამ მაინც ვაგრძელებდი. ცოტა ხანში გარეთ დავიწყე ვარჯიში, ღობეებიდან ვხტებოდი, გარაჯებზე ვძვრებოდი. ერთხელ ხელიც მოვიტყევე, მაგრამ მოტხოვნილება იმდენად გეზრდება, რომ ივარჯიშო, რომ თავს ვერ იკავებ. როგორც კი უკეთ გავხდი ისევ გავაგრძელე. მალე სხვებიც შემომიერთდნენ. ესეა ერთად ვარჯიშობთ”.

ყველაზე უფროსი ირაკლია. ირაკლი 18 წლის: „ნულიდან დავიწყეთ. გვიხაროდა, რომ ღობეებზე ვხტებოდი, მერე ჰაერში ერთხელ გადავტრიალდებოდი. ძალიან ბევრი ვისრომეთ იმისათვის, რომ ესეა რასა ვაკეთებთ ამისათვის მიგვეხწია. სავარჯიშო აწივ ბევრია. თავიდან თუ 1 საათს ვვარჯიშობდით, ესეა 3 ან 4 საათსაც კი. ბევრი ფიქრობს, რომ გიზები ვართ, სიცოცხლე მოგვებზრებია და იმიტომ ვაკეთებთ. გამიგია როგორ ხუმრობენ „ალბათ იაღოვლები არიან და გონიათ ამ ქვეყნად ბევრჯერ მოვლენ”. ეს ასე არაა, უბრალოდ პარკური ჩვენთვის უბრალო გასართობი კი არაა. მას სერიოზულად ვეკიდებით ყველაზე ძალიან რაც გვინდა ისაა, რომ სპორტის სახეობად ოფიციალურად გამოცხადდეს. გაიმართოს სეჯიბრებები მსოფლიო მასტაბით. თუმცა ამაზე ლაპარაკი ზედმეტია, ჩვენც ქვეყანაში სპეციალური დარბაზებიც კი არაა სადაც ივარჯიშებ, ამერიკაში კი...”

სპორტის ამ სახეობასთან დაკავშირებით ფსიქოლოგმა თამარ გულუამ თქვა, რომ: „ძირითადად თუ დააკვირდებით სპორტის ამ სახეობას ახალგაზრდები, 20 წლამდე მისდევენ. ისდევენ მას მიუხედავად იმ ტკივილებისა, რასაც ისინი იღებენ ვარჯიშის დროს. პატარა ბავშვი, როცა რამეს იტკენს ცდილობს, რომ შემდეგ ისევ ის შეცდომა არ დაუშვას. ერიდება იმ საგანს თუ მოქმედებას, რამაც ტკივილი მიაყენა. მას ესინია იგივეს განმეორების. ზოგჯერ ეს ტკივილი, შიში იმდენად დიდია, რომ სიცოცხლის ბოლომდე მიყვება ადამიანს. მაგალითად სიმალის შიში, პატარაობისას ცამოვარდა, ესეა ხანდაზმულია, მაგრამ ერიდება სიმალეზე ასვლას.

როგორც პარკურის მიმდევარმა აღნიშნა ხელი მოიტეხა, მაგრამ მაინც გააგრძელა. ეს იმიტომ, რომ მას პროტესტის გრძნობა აქვს. სხვატაშორის არამარტო მას, ყველას ვინც ამას მთელი სულითა და გულით მისდევს და არა იმიტომ, რომ მოდაშია. ეს პროტესტი შეიძლება იყოს მშობლების, კლასელების მიმართ. ნებისმიერი რამის მიმართ. ისინი ამ პროტესტს ამ სპორტში „ახრჩობენ“.

პარკურის მიმდევარი ჯგუფები „Next level“ და „პარკური“ „ნიჭიერის“ ფინალში არიან. ვნახოთ როგორია საზოგადოების დამოკიდებულება მათდამი.